პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 20 (20666) ოთხშაბათი, 24 იანვარი, 1990 წელი. ფასი 3 კაპ.



## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 22 იანვარს გამართულ სხდომაზე განიხილა პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საფუძვლიანად იმსჯელა პროექტის გამო, ძირითადად მოიწონა პლატფორმის დებულებანი და დაავალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს საბოლოოდ დახვეწოს დოკუმენტი გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, რის შემდეგ პროექტი გამოტანილი იქნება ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის განსახილველად.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ საკითხზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გაიმართოს 1990 წლის 5-6 თებერვალს.

სხდომაზე განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის რიგგარეშე დეკემბრის პლენუმის მონაწილეთა ჯგუფის ლიტვის სს რესპუბლიკაში მოგზაურობის შედეგები და შეიმუშავეს შესაბამისი წინადადებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის.

განიხილეს ინფორმაცია ს. აბეს მეთაურობით იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციასთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის, აგრეთვე ა. ნ. იაკოვლევისა და ა. ი. ლუკიანოვის საუბრების შედეგების შესახებ.

აღინიშნა, რომ გამართულმა აზრთა გაზიარებამ საშუალება მისცა მათ არსებითად გაეღრმავებინათ საბჭოთა კავშირ-იაპონიის პოლიტიკური დიალოგი, რომელშიც პირველად აქტიურად მონაწილეობდნენ იაპონიის მმართველი პარტიის წარმომადგენლები. გამოვლინდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და სხვადასხვა დარგში ორმხრივი ურთიერთობის განვითარების ახალი შესაძლებლობანი. მნიშვნელოვანია, რომ ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა ამ ურთიერთობის აყვანა ახალ დონეზე, რომელიც შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს, თანამედროვე მსოფლიოში ორივე ქვეყნის როლს, საერთაშორისო ცხოვრების ახლანდელ დინამიკას. გამოითქვა თანხმობა იაპონიის მხარის წინადადების მიმართ, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას შორის პარტიათაშორისი კავშირურთიერთობის განვითარებას.

სხდომაზე განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ხ. პერეს დე კუელიართან მ. ს. გორბაჩოვის საუბრისა და ე. ა. შევარდნაძის შეხვედრების შედეგები. აღინიშნა, რომ იზრდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი უშიშროების საბჭოს და გენერალური მდივნის როლი იმ პროცესში, როცა მიმდინარეობს გადასვლა „ცივი ომიდან“ საერთაშორისო განვითარების მშვიდობიან პერიოდზე ზოგადსაკაცობრიო კონსენსუსის ფორმირებისა და სტაბილურობის და მართლწესრიგის უზრუნველყოფის მეშვეობით. ხაზგასმით აღინიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერის უცვლელი პოლიტიკური გეზი, რომელიც ორგანულად გამომდინარეობს ქვეყანაში საგარეო-პოლიტიკური აზროვნებისადმი, გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობისადმი ერთგულებიდან.

## საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

22 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ვალნინ ვლადიმერის ძე ცხოვრებაშვილი, რომელიც მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილედ, მანამ კი — წყალტუბოს კურორტების გაერთიანების თავმჯდომარედ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა გ. გ. გუმბარიძემ.

(საქინფორმი).

## ცხინვალიდან გვატყობინებენ

### მეგობრობას არ მოვიშლით

ეს აზრი განამტკიცა ძველი მეგობრების — ჯავის, ამბროლაურისა და ონის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრამ, რომელიც ჯავაში გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა გულისტკივილით აღიქვეს ის დაძაბულობა, რომელიც ეროვნებათშორისი შუღლის ნიადაგზე შეიქმნა. ქართველისა და ოსის ძმობაში როგორ გაჩნდა ბზარი, ვინ გააღვივა შუღლი, ვინ, რა ძალამ გადაჰკიდა ისინი? კრულ იყოს ჩვენი დარდის გამჩენი! — ითქვა შეხვედრაზე.

ახლა, როცა საქართველო იღვწის ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის და ვიღაც ძირს უთხრის დიდ საქმეს, სიყვარულს ნაღვერდალს უპირისპირებს, ჩვენ ერთმანეთს კი არ უნდა დავეტაკოთ, ერთად უნდა ვეძებოთ მტერი, ფარული ძალა, დიდი მიზნისათვის ბრძოლას რომ ელობება. სწორედ ახლაა საჭირო ერთობა, თანადგომა. ეს ასეც უნდა მოხდეს — ორი ძმის დაცილება შეუძლებელია, ჩვენ ერთიანი ძალით უნდა ვაშენოთ მომავალი, — ასეთი იყო შეხვედრის ლაიტმოტივი.

### ამას თვით ცხოვრება მოითხოვს

ცხინვალში შეიკრიბნენ ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების წარმომადგენლები. აქტივის კრებაზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა განათლების საოლქო განყოფილების გამგე ფატიმა ფუხაევა. აქტივის კრებამ მიიღო მიმართვა ქართველი და ოსი ხალხებისადმი:

„ძვირფასო მეგობრებო! ყოველი ჩვენგანი, ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს ყმაწვილი თაობის აღზრდასთან, ამ მძიმე დროს, როცა ორ მოძმე ხალხს შორის უნდობლობამ დაიბუდა, როცა საუკუნეობით ნაშენი მეგობრობის ხიდი ინგრევა, როცა ოსებსა და ქართველებს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება ქრება, როცა სისხლი იღვრება, მათ შორის ბავშვებისაც კი, თხოვნით მოგმართავთ: გამოიჩინეთ თავდაჭერილობა და კეთილგონიერება.

დედებო და მამებო, სახალხო განათლების მუშაკებო! მოდით, ერთად ვიფიქროთ, რა ჩავთესოთ ჩვენი ბავშვების სულში. ჩვენ — ქართველებმა და ოსებმა ერთად უნდა ვიცხოვროთ ამ მრავალტანჯულ მიწაზე. იქ, სადაც არსებობს ჭეშმარიტი კულტურა, ინტერნაციონალიზმის მაღალი დონე, არ შეიძლება არსებობდეს ეროვნული უთანხმოება, ხალხების დაპირისპირება. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი კულტურა დათმობას გვასწავლის. დავივიწყოთ ერთმანეთისადმი მიყენებული წყენა, და ამით გავამართლოთ ბრძენი წინაპრების ნათქვამი: ძლიერია ის, ვისაც შეურაცხყოფის პატიება შეუძლია. ჩვენ გვაქვს ასეთი ძალა. აღვადგინოთ და განვამტკიცოთ ჩვენი ტრადიციული ძმური, მეგობრული კავშირი.

ხალხო, ჩვენ თვითონ მივიდეთ ერთმანეთთან, თვითონვე მოვსპოთ დაბრკოლებანი, რომლებიც ჩვენს შორის აღიმართა. ეს ყველაზე უტყუარი და მოკლე გზაა“.

**ბიძი თედეევი,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## რესპუბლიკის მოსახლეობა

მოსახლეობის 1989 წლის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგების წინასწარი მონაცემები, როგორც ცნობილია, შარშან აპრილში გამოქვეყნდა.

ამჯერად მკითხველს ვაწვდით მოსახლეობის აღწერის დღეისათვის მიღებულ საბოლოო მონაცემებს ჩვენი რესპუბლიკისა და მისი ავტონომიური ფორმირებების მიხედვით, რომელიც საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა მოგვაწოდა.

| ტერიტორიის დასახელება | სულ მოსახლეობა | მათ შორის: კაცი | ქალი | მოსახლეობა 1979 წ. აღწერასთან შედარებით (%) |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს მოსახლეობა | 5443359 | 2581411 | 2861948 | 108,5 |
| ქალაქის მოსახლეობა | 3035748 | 1420499 | 1615249 | 116,7 |
| სოფლის მოსახლეობა | 2407611 | 1160912 | 1246699 | 99,7 |
| ქ. თბილისი | 1263368 | 580340 | 683028 | 118,2 |
| აფხაზეთის ასსრ | 535634 | 253914 | 281720 | 106,0 |
| ქალაქის მოსახლეობა | 256282 | 118961 | 137321 | 107,5 |
| სოფლის მოსახლეობა | 279352 | 134953 | 144399 | 104,7 |
| აჭარის ასსრ | 392707 | 188269 | 204438 | 110,9 |
| ქალაქის მოსახლეობა | 181768 | 85045 | 96723 | 118,5 |
| სოფლის მოსახლეობა | 210939 | 103224 | 107715 | 104,7 |
| სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 99102 | 47746 | 51356 | 101,8 |
| ქალაქის მოსახლეობა | 50268 | 23808 | 26460 | 122,1 |
| სოფლის მოსახლეობა | 48834 | 23938 | 24896 | 86,9 |

მოსახლეობის [illegible] 1989 წლის [illegible] (საქინფორმი).

## აზერბაიჯანისა და სომხეთის ამბები

როგორც ცნობილია, მხოლოდ საგანგებო გარემოებებმა — ბაქოში სიტუაციის მძაფრმა გამწვავებამ, დარბევებმა, დამნაშავე ექსტრემისტული ძალების ცდებმა — იძულების გზით, მასობრივ არეულობათა მოწყობით ჩამოეშორებინათ ხელისუფლებისათვის კანონიერად მოქმედი სახელმწიფო ორგანოები — გვაიძულა შემოგვეღო აზერბაიჯანის დედაქალაქში საგანგებო წესები. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა კიდევ უფრო მეტი სისხლისღვრის თავიდან აცილებას.

22 იანვარს დილით მოსახლეობას მიმართა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წევრმა ა. ნ. მუტალიბოვმა. ჩვენს მიწა-წყალზე, თქვა მან, დიდი მწუხარება დაგვატყდა თავს. იღუპებიან ადამიანები. მთელ აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად ვგლოვობ მათს დაღუპვას. თავს ვხრი მათი მამების, დედების, ძმებისა და დების წინაშე. ყოველ ჩვენგანს შეგნებული აქვს ყოველივე მომხდარისათვის მთელი პირადი პასუხისმგებლობა. სრულიად გულწრფელად ვაცხადებ, რომ ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობდით რესპუბლიკის დედაქალაქში საგანგებო წესების შემოღების თავიდან აცილებისათვის. ხორციელდება რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღდგენის, ექსტრემისტებთან ბრძოლის გაძლიერების პრაქტიკული ღონისძიებანი, თქვა მან შემდეგ. ნაციონალისტური და ექსტრემისტული ჯგუფების მთელი რიგი ორგანიზატორები დაკავებული არიან და ეძლევიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. განხილულია აგრეთვე ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხები და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ამავე დღეს ბაქოში გაიმართა 19-20 იანვარს დაღუპულთა დაკრძალვა.

ფაქტების მიუხედავად, რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, კვლავ დადის ხმები, თითქოს ბაქოში მრავალი ასეული და ათასობით ადამიანიც კი დაღუპულიყოს, მათ შორის ქალები და ბავშვები. სინამდვილეში, როგორც ადგილობრივი რადიოთი გამოაცხადა ქალაქის სამხედრო კომენდანტმა, 19-20 იანვარს ბაქოში დაიღუპა 83 კაცი, მათ შორის 14 სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახების წევრები. დაღუპულ ბაქოელთა შორის, როგორც საქდესს აცნობეს კომპეტენტურმა წყაროებმა, არ არის არც ერთი ქალი და არც ერთი ბავშვი. სამხედროების ოჯახებში კი ნამდვილად არიან მოკლული და დაჭრილი ქალები.

მიმართვაში სამხედრო კომენდანტმა ხაზგასმით აღნიშნა: მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის კვალობაზე ქალაქში გამოცხადებული საგანგებო წესების რეჟიმი თანდათანობით შენელდება. წესრიგის აღდგენის მიზნით იმ პირებს, რომლებიც უკანონოდ ფლობენ იარაღს, წინადადება ეძლევათ ჩააბარონ იგი რაიონული სამხედრო კომენდატურების წარმომადგენლებს 24 იანვრის დილის 9 საათამდე. ყველა, ვინც ამ ვადაში ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს, არ იქნება დაკავებული და არ მიეცემა პასუხისგებაში.

მაგრამ აზერბაიჯანის დედაქალაქში ჯერ კიდევ ვრცელდება ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ მოქალაქეობრივი ურჩობისათვის, კონფრონტაციისათვის. ექსტრემისტული და ნაციონალისტური ელემენტები, „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის“ ზოგიერთი ლიდერის წაქეზებით, იმედოვნებენ, რომ გაალვივებენ არმიის საწინააღმდეგო და ანტირუსულ განწყობილებებს. ამ მიზნით ვრცელდება ყალბი მონაჭორები სისასტიკის შესახებ, რომელსაც თითქოს სამხედრო მოსამსახურენი იჩენენ მოსახლეობის მიმართ. ფიზიკური გასწორების მუქარით მოითხოვენ არამკვიდრი მოსახლეობისაგან დატოვონ ქალაქი.

ბაქოში ტერორისტები კვლავ უშენენ ცეცხლს სამხედრო ქალაქებს, კერძოდ, ეგრეთ წოდებულ სალიანის ყაზარმებს. იმ მიზნით, რომ სახელი გაუტეხონ სამხედრო მოსამსახურეებს, „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის“ წარმომადგენლები ზოგჯერ ყველაზე მზაკვრულ ტყუილსაც კი არ თაკილობენ. სწორედ ამ ფრონტის წევრი ტერორისტები უშენენ ცეცხლს სალიანის ყაზარმებს, მაგრამ ამავე დროს „არაფორმალები“ ავრცელებენ ჭორებს, ქვეყანაში გზავნიან დეპეშებს, თითქოს აქ მომხდარიყოს შეიარაღებული შეტაკებანი სხვადასხვა ეროვნების სამხედრო მოსამსახურეთა შორის და იყვნენ ასეთ შეტაკებათა მსხვერპლნი. ეს სრულებით არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა.

აზერბაიჯანის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ხდება უხამსობანი. ქალაქ პუშკინოში ალვირახსნილ არამზადათა ბრბომ დაარბია პარტიის რაიკომის შენობა, დაანგრია ვ. ი. ლენინის ძეგლი. ნახიჩევანის რაიონში მოეწყო თავდასხმა რადიოლოკაციური სადგურის პოზიციაზე. იგი მოიგერიეს.

სტეფანაკერტში გრძელდება ეგრეთ წოდებული „ყარაბაღის მოძრაობის“ წევრ ექსტრემისტთა ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიებანი. ამ ექსტრემისტთა შორის არის ორი კაცი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან მძევალთა შეპყრობის ორგანიზაციასა და განხორციელებაში.

სომხეთში ამ ბოლო დღეებში გახშირდა მუქარა რესპუბლიკის მასისის, სევანის, რაზდანის რაიონებში მცხოვრებ ქურთთა მიმართ. მიღებული ცნობებით, მთელ რიგ შემთხვევებში იარაღის ხელში ჩაგდების დანაშაულებრივ აქციებს სხვადასხვა არაფორმალურ ორგანიზაციათა ტერორისტები სისხლისსამართლებრივ ელემენტებთან ერთად სჩადიან.

ამასთანავე არის იმის მაგალითებიც, როცა კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებანი იძლევა ეფექტს. სომხეთში ფართოვდება იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარება. არარატის რაიონის სოფელ ერასხში გაიმართა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სერობიანის, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. მ. დაიანის შეხვედრა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ი. ა. რაგიმოვთან, პარტიის ნახიჩევანის საოლქო კომიტეტის მდივანთან რ. უ. ჯალილოვთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, გენერალ-მაიორი მ. ს. სურკოვი და შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი ნ. გ. ფედოსოვი. კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით გადაწყვეტილია განხორციელდეს ერთობლივი ღონისძიებანი, რათა შეწყდეს სროლა და შეტაკებანი, გამოყვანილი იქნენ სასაზღვრო რაიონებიდან შეიარაღებული ჯგუფები, აღდგეს დაზიანებული სარკინიგზო კომუნიკაციები, გაიხსნას მატარებლების მოძრაობა სომხეთსა და აზერბაიჯანში, შეწყდეს საავტომობილო გზის ბლოკირება ილიჩევსკის რაიონის სოფელ კერკში. განმარტებითი მუშაობის შედეგად, რომელსაც სასაზღვრო ჯარების მეთაურები და პოლიტორგანოები ეწევიან, მიღწეულია მორიგება პიკეტების მოხსნის შესახებ აზერბაიჯანის ზანგელანის რაიონის გზებზე. განვლილ დღეებში დაისახა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დარღვევათა რიცხვის შემცირების ტენდენცია.

• • •

ბაქო, 23 იანვარი. (აზერინფორმ-საქდესი). ორი დღე ბაქო აღელვებული იყო სალიანის ყაზარმების გარშემო დატრიალებული მოვლენებით. ქალაქში არმიის ნაწილებისა და შინაგანი ჯარების შესვლის მომენტიდან იქ არ შენელებულა სროლა. უცნობი პირები ცეცხლს უშენდნენ ჯარისკაცებს გარშემო მდებარე კაპიტალურად გასარემონტებელი სახლების სახურავებიდან. მაგრამ ქალაქში გავრცელდა ხმები, თითქოს ყაზარმებში გამაგრდა ბაქოს უმაღლესი სამხედრო საერთო-საჯარისო მეთაურთა სასწავლებლის აზერბაიჯანელ კურსანტთა და „ავღანელ“ მეომართა ჯგუფი. სულ ახალ-ახალი ამბები ვრცელდებოდა, რაც ასაზრდოებდა ანტიარმიულ და ანტირუსულ განწყობილებებს: თითქოს „ამბოხებულებმა“ ყაზარმებში ხელთ იგდეს იარაღის საწყობი, არის დიდი მსხვერპლი.

21 იანვარს ნაშუადღევს შეშფოთებულმა საზოგადოებრიობამ მიმართა სარდლობას, რომ საქმე მშვიდობით დაემთავრებინათ: ყაზარმებში მყოფთათვის აღეთქვათ ხელშეუხებლობა ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ. ხალხს განუმარტეს, თუ როგორ იყო ყველაფერი სინამდვილეში. მაგრამ ერთხელ ნანახი სჯობს ასჯერ მოსმენილს. და აზერბაიჯანის სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი შინაგანი ჯარების პოლიტსამმართველოს მუშაკის, პოლკოვნიკ ა. ბელაშისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწის, ინტერნაციონალისტ მეომართა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ე. მურადოვის თანხლებით ყაზარმებისაკენ გაემართა. იქ „ამბოხებულთა“ ნაცვლად მათ აღმოაჩინეს ოფიცრებისა და პრაპორშჩიკების ოჯახები. კურსანტებთან შეხვედრისას საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დარწმუნდნენ, რომ არც ერთი კურსანტი ან სხვა სამხედრო მოსამსახურე იარაღით არ გამოსულა არმიის ნაწილებისა და შინაგანი ჯარების წინააღმდეგ.

(საქდესი).

## იხარე ჭერო!

ხაშურის რაიონის შრომითი კოლექტივები ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში, აჭარელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ამიერკავკასიის სატრანსპორტო ტრესტის 349-ე სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივთან ერთად აქ მუდმივად შრომობდნენ ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის, მექანიკური ქარხნის, ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ახალგაზრდული სამშენებლო რაზმები.

ამ დღეებში საექსპლოატაციოდ მშენებლებმა 27 საცხოვრებელი სახლი გადასცეს და, ჯავახეთში აჭარიდან ჩამოსახლებულებმა ახლახან ახალმოსახლეობა იზეიმეს; პაპიძეების ოჯახში კი დიდებული საქორწილო სუფრა გაიშალა — მზევინარ პაქსაძემ და ემზარ პაპიძემ ახალ ქართულ ოჯახს ჩაუყარეს საძირკველი.

ხაშურელებმა ახალდაქორწინებულთ ძვირფასი საჩუქრები მიართვეს. ქალაქვაჭრობის კოლექტივმა (დირექტორი თ. გაგნიძე) მათ საძინებელი ოთახის კომპლექტი, ფერადი ტელევიზორი, მაცივარი, თეთრეული, ჭურჭელი — დაახლოებით 350 მანეთის ღირებულების საოჯახო ნივთები გადასცეს.

იხარე ჭერო!

**გურამ ვაშაკიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.



### კონსერვები გალური წვენები

ერთი წელია, რაც ამუშავდა გალის საკონსერვო ქარხანა. ამ ხნის განმავლობაში საწარმომ, რომელიც № 2 „საქკოოპმშენის“ ტრესტმა ააშენა და იტალიის „ბერტუცის“ ფირმის ავტომატიზებული ხაზებითაა აღჭურვილი, მიაღწია წლიურ საპროექტო სიმძლავრეს — 35 მილიონ პირობით ქილას. ახალი ქარხანა უნარჩენო და ეკოლოგიურად სუფთაა.

გალურ წვენებზე მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ ქვეყნის სხვა ქალაქებშიც.

მუშაობის პირველი წელი ქარხანამ 670 ათასი მანეთი მოგებით დაამთავრა. წლეულს მეკონსერვეებმა 50 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

სურათებზე: ლაბორანტი ლ. ჩიქოვანი აკეთებს ქიმიურ ანალიზს; ცვლის უფროსი ო. რატია და დამხარისხებლები მ. ქარდავა და ლ. ჯღარკავა.

ი. ჭოხონელიძის ფოტო.

## მოვუხმოთ კეთილგონიერებას

მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში შექმნილი ვითარება ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წუხილსა და შეშფოთებას იწვევს. რედაქცია იღებს მრავალ წერილს, რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს სისხლისღვრა, მოვუხმოთ კეთილგონიერებას, აღსდგეს შრომითი რიტმი. მკითხველს ვთავაზობთ ამ კორესპონდენციების ერთ ნაწილს.

### ღმერთი განსჯის მტყუანსაც და მართალსაც!

თქვენ წარმოიდგინეთ, ისე აირია ქვეყანა, რომ მტყუან-მართალი ვერ გაგვირკვევია... რამ განაპირობა ყოველივე? იქნებ, იმპერიულმა ძალებმა? იქნებ, ეგრეთ წოდებული „ხალხთა მეგობრობის“ ყალბად გაგებამ? ასეა თუ ისე, საშველი აღარაა, იღვრება სისხლი და პირდაპირ ჩვენი მოძმე რესპუბლიკათა კავშირი გულხელდაკრეფილი უმზერს ამ შემზარავსა და თავზარდამცემ ომს.

რასაც გვეუბნებიან, გვეუბნებიან, რასაც არა და მტერს, რაც ახლა ჩვენს მეზობლად ხდება...

საქართველო რომ დამოუკიდებელი იყოს, უფრო აშკარად იტყოდა თავის სათქმელს და მტყუან-მართალსაც თავის სახელს დაარქმევდა, მაგრამ რა ვქნათ დღეს, როცა სომეხი ხალხი გენოციდს არქმევს ამ საშინელებას, ხოლო ცალკე აზერბაიჯანი გვწერს, რომ მესამე ძალაა ამ საქმეში ჩარეული?.. რა ქნას ქართველმა კაცმა? მის მიწაზე ხომ სომეხიც ცხოვრობს და აზერბაიჯანელიც? იქნებ ვისმე სურვილიც კი აქვს ის ცეცხლის ალი, რომელიც აზერბაიჯანსა და სომხეთში ანთია, აქეთაც გამძვინვარდეს? ვინ იცის, ამიტომ დღეს მთავარია გონების ძალით განვჭვრიტოთ ყოველივე და აქ, ამ მიწაზე არ დავუშვათ ძმათა სისხლის ღვრა, აქ, ჩვენს ქართულ მიწაზე მივხედოთ სომხებსა და აზერბაიჯანელებს, კიდევ ერთხელ დავუმტკიცოთ, რომ სადაც ქართველი კაცის გონება ჭრის, იქ ყოველთვის სიმშვიდე იქნება ძმათა შორის.

ქართველი კაცი არ დაუშვებს ძმათა სისხლი დაიღვაროს ქართულ მიწაზე.

ეს ერთი, მაგრამ მაინც რომ ვერ გამოვკვეთე ჩემი პოზიცია ამ სისხლისღვრის მიმართ...

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

მაინც გონივრული ხვალინდელი დღის გათვალისწინებაა...

მე ერთი რამის მეშინია, საზღვრის იქეთა სახელმწიფოები ფიქრობენ, რომ ეს ომია ორ სარწმუნოებას შორის, ხოლო თუ ეს ასეა, ღმერთმა დაგვიფაროს...

ჩვენ, შემწყალენი ვართ და ვაი, რომ ხელს გვიშლის ეს ჭეშმარიტად მოყვასური თმენა, მაგრამ მაინც უნდა შეწყდეს სისხლის ღვრა!

ღმერთი ერთია, ჩვენ რას განვსჯით, მაგრამ ღმერთი არ აპატიებს სისხლის დამღვრელს, ღმერთი განსჯის მტყუანსაც და მართალსაც...

ფრთხილად, კაცობრიობას მომავალი აქვს!

**ჯანსუღ ჩარკვიანი.**

### მეზობლები უთუოდ უნდა შერიგდნენ

ჩვენი კოლექტივი და პირადად მეც კმაყოფილი ვართ იმით, რომ თბილისში დამთავრდა საქართველოს არაფორმალური გაერთიანებების მიერ მოწყობილი აქცია; ამიერკავკასიაში ამ ბოლო ხანს შექმნილი ურთულესი სიტუაციის გამო მისი გაგრძელება მართლაც არ იყო მიზანშეწონილი.

ჩვენ ყველას გვაწუხებს რესპუბლიკის ეკონომიკაში და, კერძოდ, მის მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობა. რთული სიტუაციაა, ვერ სრულდება პროდუქციის მიწოდების ვალდებულებები, სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური დავალებები, ძალიან შესუსტდა შრომის და საშემსრულებლო დისციპლინა. ახლა ყველამ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გამოვიჩინოთ და გაორკეცებული ენერგიით მოვკიდოთ საქმეს ხელი, სხვანაირად ფონს ვერ გავალთ, მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომით შეიძლება დავაღწიოთ თავი ეკონომიკურ კრიზისს.

ძალიან შეგვაწუხა და გვატკინა გული აზერბაიჯანსა და სომხეთში შექმნილმა მდგომარეობამ. გაუგონარი ამბავი ხდება, ამ რესპუბლიკებში მომხდარი კონფლიქტის შედეგად უწინარეს ყოვლისა ბავშვები, ქალები, მოხუცები იტანჯებიან, იღუპება უდანაშაულო ხალხი, უდიდესი ზარალი მოსდის სახალხო მეურნეობას.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზენაესი საბჭოს და მთავრობის მიმართვაში ნათქვამია, რომ ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს, უნდა დაცხრეს მტრობის, თვითნებობისა და ძალადობის ტალღა. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს და ვეთანხმებით ამ აზრს. მართლაც რომ, არავის აქვს ეროვნულ გრძნობებზე სპეკულაციის უფლება. თუ ამას ბოლო არ მოეღო, ეს შეიძლება კატასტროფად იქცეს.

ქართველებისათვის, ყველა აქ მცხოვრები ადამიანისათვის არ არის სულ ერთი, თუ რა ხდება სომხეთსა და აზერბაიჯანში. მოვუწოდებთ ჩვენს მეზობელ ხალხებს დაიცხრონ სიფიცხე, გამოიჩინონ გონიერება და სიბრძნე. ორი მეზობელი ხალხი უთუოდ უნდა შერიგდეს. სხვა გზა არ არის და არც შეიძლება იყოს.

**გურამ ვაშაკიძე,**
თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების მლებავთა ბრიგადის ხელმძღვანელი, შრომის ვეტერანი.

### მივმართავ უპირველესად ქალებს

შეძრწუნებული ვარ იმ საშინელი მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში — აზერბაიჯანსა და სომხეთში. ღრმად თანავუგრძნობ როგორც ერთი, ისე მეორე ხალხის განუზომელ ტკივილს უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის გამო. არ შემიძლია სიამაყის გრძნობით არ მოვიხსენიო ჩვენი ახალგაზრდების მაღალი შეგნება. მათ ამ უბედურების დროს უაღრესად გონივრული გადაწყვეტილება მიიღეს, შეეწყვიტათ ყოველგვარი აქციები და მიტინგები, რომლებიც, ზამთრის სუსხის მიუხედავად, ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა მთავრობის სახლის წინ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გვაქვს ერთადერთი გზა დამოუკიდებლობის მოპოვებისა, — ეს არის პარლამენტური ბრძოლის გზა. მხოლოდ მშვიდობიანი, თანამიმდევრული პოლიტიკის განხორციელებით შევძლებთ მივაღწიოთ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მე მოვუწოდებ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს და უწინარესად ქალებს — მოთმინებით და მდგომარეობის სიმძიმის სრული შეგნებით მოვეკიდოთ ყველა აქციას. ამჯერად დიდი თავშეკავება და სულგრძელობა გვმართებს, თუ გვინდა, რომ ჩვენს ოჯახებშიც არ დატრიალდეს უბედურება, რომელიც მეზობელ რესპუბლიკებში მძვინვარებს. მე მოვუწოდებ შიდა ქართლის ყველა მოსახლეს — ქართველს და ოსს, დაიოკონ აღელვებული ვნებები, ვიცხოვროთ ისე, როგორც გვიცხოვრია საუკუნეების მანძილზე სიმტკბილობით. ახლა არ არის წვრილმანი ანგარიშსწორების დრო, დათმობა, ერთიანობა და თანადგომა გვჭირდება როგორც არასდროს, რათა კარს მომდგარ ძნელბედობასა და განსაცდელს გავუმკლავდეთ.

**ნინო ჯავახიშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

### დავაცხროთ გაუმართლებელი ემოციები

წლების მანძილზე საქართველოს ნავთობის ტრესტის, შემდგომში კი ნავთობის გაერთიანების მთავარი გეოლოგი გახლდით და მჭიდრო საქმიანი კავშირი მქონდა აზერბაიჯანელ მენავთობეებთან. ისინი დიდ დახმარებას გვიწევდნენ თავიანთი მაღალკვალიფიციური კადრებითა და ხელსაწყო-დანადგარებითაც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მენავთობეების წარმატებები მათი თანადგომის შედეგიც იყო.

აზერბაიჯანში ჩვენს დარგში არაერთი მაღალპროფესიონალი სომეხი სპეციალისტი მუშაობდა. მათ დიდ თანამშრომლობასთან ერთად დიდი და ნამდვილი მეგობრობა ჰქონდათ. კიდევაც მეუხერხულება ამას რომ ვუსვამ ხაზს: ისინი ერთად ცხოვრობდნენ და შრომობდნენ, მათ დამოკიდებულებაში არ იყო არათუ დაპირისპირება, უბრალო განსხვავებაც კი. ამიტომაც ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდა, რის გამო დაირღვა ასეთი ძმობა და თანამშრომლობა ამ ორ ხალხს შორის. როგორც ინფორმაციის წყაროები გვატყობინებენ, აგრესიულად განწყობილი ნაციონალისტ-კარიერისტები განაგრძობენ ვითარების დაძაბვას. ძალიან საწყენია დამოკიდებულების ასეთ ტრაგედიამდე მიყვანა.

იმედს არ ვკარგავ, ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ დააცხრონ გაუმართლებელი ემოციები, რომ ისევ ძმურად და კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

**ალექსანდრე ლალიევი,**
გეოლოგიისა და მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის საპატიო მენავთობე.

# საქმე პირდაპირ კავშირებს ეფუძნება

**ჩვენს რესპუბლიკაში განლაგებულია ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის მრავალი საწარმო, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქცია ჰაერივით სჭირდება ეკონომიკის ყველა დარგს და, რა თქმა უნდა, მოსახლეობას. აქ დამზადებულ ყველა სახეობის ნაწარმზე და, განსაკუთრებით ავეჯზე, დიდი მოთხოვნაა.**

**არც თუ დიდი ხნის წინათ, ყოველ შემთხვევაში, ხუთწლედის მეორე და მესამე წელს, ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშაობა, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებელი იყო. საქმე, თითქოს, არც 1989 წლის პირველნახევარში გამოიყურებოდა ცუდად, მაგრამ მეორე ნახევრიდან სურათი შეიცვალა, შესამჩნევად შემცირდა მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდება, შეიქმნა არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა.**

**ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა „საქტყემრეწვის“ ტერიტორიული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს, თენგიზ უჩანეიშვილს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.**

**— ვიცით, რომ თქვენი დარგი ძირითადად ქვეყნის შორეული რეგიონებიდან შემოზიდული ნედლეულით მუშაობს. გვესმის ისიც, რომ ძალიან დაუბრკოლათ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმა, ნეგატიურმა მოვლენებმა, რკინიგზისა და სხვა სახეობის ტრანსპორტის დიდი შეფერხებით მუშაობამ. არის, ალბათ, სხვა ხელშემშლელი მიზეზებიც.**

— საუბარი მაინც, ალბათ, იმით უნდა დავიწყოთ, რომ დარგში არაერთი ნაკლოვანება გვაქვს. ცხადია, არც ჩვენ ვართ კმაყოფილი არსებული მდგომარეობით და არც ჩვენი მომხმარებელი. ისიც უნდა ითქვას, რომ ხე-ტყის მრეწ- [illegible] რებას ზოგჯერ, თქვენ წარმოიდგინეთ, თავისუფალი კონვერტირებული ვალუტით მოითხოვს. რას იზამ, ციმბირი — მერქნის ნედლეულის ერთ-ერთი მთავარი დამამზადებელი — სავსეა ახლა უცხოელი მენეჯერებით, რომლებიც დაეძებენ ძვირფას მერქანს და აღწევენ კიდეც საწადელს.

არის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ართულებს სიტუაციას. საქმე ის გახლავთ, რომ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ტყის გაკაფვის წინააღმდეგ და ამით მკვეთრად შემცირდა ჩვენთვის მოსაწოდებელი ადგილობრივი ნედლეულის რაოდენობა. ეს აღინიშნა კიდეც საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიაზე.

არავის ეგონოს, ასეთი მოძრაობის წინააღმდეგი ვიყო, პირიქით, როგორც მოქალაქე მხარს ვუჭერ ბუნების სიცოცხლის, სამშობლოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვას, მით უფრო, რომ [illegible] შემცირდება წარმოების მოცულობა და მოგება. მრავალი საწარმო არარენტაბელური გახდება, რაც სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის პირობებში დარგის გაკოტრებას და ასობით მუშა-მოსამსახურის დათხოვნას ნიშნავს. თავისთავად იშლება დარგის განვითარების ყოველმხრივი გეგმა, რომელზეც წლების მანძილზე ვმუშაობდით და მიზნად ვისახავდით მიგვეღწია იმისათვის, რომ ჩვენი დარგი, როგორც იტყვიან, „ჩამჯდარიყო“ რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, მორგებოდა მას როგორც მისი ორგანული ნაწილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. გადაუჭრელი დარჩა ყველა საპირბორრტო საკითხი. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება საბაზო საწარმოების შექმნას დარგის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. სწორედ მათი უქონლობა უშლიდა ხელს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას. ამიტომ, მომავალი ხუთწლედისათვის შევიმუშავებთ საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვისა და სპეციალიზაციის პროგრამა. ამ პროგრამამ გაიარა ექსპერტიზა რესპუბლიკისა და კავშირის შესაბამის ორგანოებში და აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის ორმხრივ ღონისძიებებში.

**— როგორ წარიმართება საქმე შემდგომში, რას მოგვიტანს რესპუბლიკებს შორის და თვით რესპუბლიკის ფარგლებში ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირურთიერთობის გაწყვეტა?**

— საკითხი ფრიად სერიოზულია და არსებითი, აუჩქარებელ გა- [illegible] დამატებითი შრომითსა და ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს.

**— ეს, ასე ვთქვათ, სადღეისო, ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტისათვის არის საჭირო, მაგრამ როგორ უნდა მოგვარდეს საქმე მასშტაბურად, ყოველმხრივ და საიმედოდ?**

— კანონზომიერი შეკითხვაა. დარგის ურთულესი მდგომარეობიდან გამოყვანისათვის საჭიროა ქვეყნის ტყით მდიდარ შორეულ რეგიონებში შეიქმნას ნედლეულის დამამზადებელი მეურნეობები, რომლებიც რესპუბლიკის, ერის ხელშეუხებელი საკუთრება გახდება და ხელმისაწვდომ ფასებში უზრუნველყოფს დარგს რესურსებით. ეს მათ უფრო აუცილებელია ახლა, როცა რესპუბლიკა ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ემზადება.

ალბათ დაისმება კითხვა — რატომ, რით უნდა დაინტერესდნენ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური და სახალხო მეურნეობის ზედმეტად ცენტრალიზებული მართვის არსებობის პირობებში ქვეყნის ტყით მდიდარი რეგიონები ჩვენთან ურთიერთობის დამყარებით, მაშინ, როდესაც მათთან პარტნიორობას ესწრაფვიან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენზე ეკონომიკურად ბევრად ძლიერი, მყარი ვალუტის მქონე უცხოელები?

ამასთან დაკავშირებით, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ლოგიკური ხასიათის ეკონომიკურ ამოცანებსა და მიზნებზე, ვიტყვი, რომ დღეს, როცა სულ უფრო მეტად იკვეთება რეგიონებს შორის ახალი, უფრო სამართლიანი კავშირურთიერთობის დამყარების ტენ- [illegible] მხარდაჭერით უშუალო მოლაპარაკებას ვაწარმოებთ რუსეთის ტყით მდიდარ რეგიონთან ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად.

მივმართავ ყველა დარგისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ვისაც მერქნისაგან დამზადებული პროდუქცია სჭირდება, ჩვენთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის შორეულ რეგიონებში ხე-ტყის დამამზადებელი სიმძლავრეების შექმნაში.

**— დარგის გადარჩენისათვის, მისი საწარმოების გაკოტრებიდან თავის დაღწევად, ალბათ, სხვა არანაკლებ ქმედითი ღონისძიებებიც უნდა განხორციელდეს?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი, [illegible]

ესაუბრა შოთა ამაშუკელი.

## ეს დღეები სოფლად

# დროული თადარიგი

**წლეულს** დიდი სამუშაოები ელოდებათ წყალტუბოს ზონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, საგაზაფხულოდ 8100 ჰექტარზე უნდა მოხნან და დათესონ. ამ ფართობზე დაითესება სამარცვლე და სასილოსე სიმინდი, ერთწლიანი ბალახები, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, საკვები ძირხვენები.

ზონის სათანადო ხელმძღვანელმა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დროულად განახორციელეს ღონისძიებები იმისათვის, რომ საგაზაფხულო სამუშაოები შეუფერხებლად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარდეს. მთავარი ყურადღება გადატანილია ხვნა-თესვისათვის ტექნიკურ საშუალებათა მომზადებაზე. შეიქმნა შემკეთებელი რგოლები, რომლებსაც მანქანა-ტრაქტორთა სრული მზადყოფნის ვადად განესაზღვრათ 10 თებერვალი. შემკეთებელ-მექანიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველა სახეობის 425 ტრაქტორიდან უკვე 405 შეაკეთეს. მანქანა-ტრაქტორთა პარკი უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის სათადარიგო ნაწილებით. ვარაუდობენ, რომ განსაზღვრულ ვადაზე ბევრად ადრე მოწესრიგდება ყველა მანქანა და ტრაქტორი.

საგაზაფხულო სამუშაოების დასაწყებად ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში საჭირო რაოდენობით აქვთ სახნავი გუთნები, ფარცხები, სათესი მანქანები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ერთი სიტყვით, ამ ტექნიკის 95 პროცენტი უკვე გამართულია.

ინტენსიურად მუშაობენ ბოსტნეულის წარმოების გადიდებისათვის. წლევანდელი მოსავლისათვის უკვე დაითესა და დაირგო: კომბოსტო 280 ჰექტარზე, ხახვი 18 ჰექტარზე. კომბოსტოს რგვა გრძელდება. კარგად ირჯებიან კვალსათბურების შეკეთებისათვის. ორგანული სასუქები თითქმის სულ მოზიდეს კვალსათბურებთან.

ზონაში პამიდვრის ნარგავ-ნათესი დაიჭერს 600 ჰექტარ ფართობს, მათგან 250 ჰექტარზე საადრეო ჯიში იხარებს. უხვი მოსავლის მიღებისათვის წლეულს კრასნოდარიდან შემოიტანეს აქაურ პირობებთან კარგად შეგუებულ „ერმაკის“ ჯიშის პამიდვრის 465 კილოგრამ თესლს, ხოლო „საქბოსტანჯიშთესლის“ ქუთაისის გაერთიანებიდან — ასევე მაღალნაყოფიერ 125 კილოგრამ „ნოვიჩოკის“ — ჯიშის თესლს.

სიმინდის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების თესვის ორგანიზებულად დაწყების მიზნით ზონის საზოგადოებრივი მეურნეობები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან მაღალხარისხოვანი კონდიციური სათესლე მასალით.

ჩაის პლანტაციებში შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები. შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლები აქაც საგეგმოზე მაღალია. წესრიგში მოჰყავთ ჩაის პლანტაციებში მისასვლელი გზები, ფარდულები, საველე სადილოები. მომზადეს ხელით სასხლავი და ჩაის საკრეფი აპარატები.

წყალტუბოს ზონაში სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანების შესრულების მიზნით ფართოდ ინერგება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ძირითადად იმუშავებენ იჯარული ურთიერთობის პრინციპით. განვითარდება გლეხური მეურნეობები.

მოკლედ ამთავითვე ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კარგი საფუძველი ჩაეყაროს წლევანდელ უხვ მოსავალს.

**ვაჟა თევდორაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.



# ტურისტული გაზქურები

**ძალიან მოსწონს მომხმარებელს ტურისტული გაზქურები, რომლებსაც თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა ამზადებს. ამჟამად აქ აითვისეს ამ პროდუქციის სამსანთებლიანი კონსტრუქცია. გრძელდება მუშაობა შემსუბუქებული, მოდერნიზებული სამ და ოთხსანთებლიანი გაზქურების ასათვისებლად. საწარმოში გამოშვებული პროდუქცია ქვეყნის ყველა რეგიონში იგზავნება.**

**საწარმო სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მოქმედებს. ახალ პირობებში მუშაობა მას საშუალებას აძლევს ყოველწლიურად მიიღოს 500-დან 700 ათასამდე მანეთის მოგება.**

**სურათზე: ორსანთებლიანი გაზქურის უბნის ამწყობ-ზეინკალი, ბრიგადირი მიხეილ გიგაური.**

**დავით იაკობაშვილის ფოტო.**

## წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის

# ი. ნატროშვილის გამოსვლა

## მუშათა კლასის, გლეხობისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირზე

**ამხანაგებო!** ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. აქვს ხუთი ათასი ჰექტარი სახნავი, 400 ჰექტარი მრავალწლოვანი ნარგავები, იგი აღმოსავლეთ საქართველოში რისკიანი მიწათმოქმედების ზონაშია. მაგრამ მეურნეობრიობის კოლექტიური ფორმის, კოლმეურნეთა მუყაითობის, მათი ნაყოფიერი შრომის წყალობით მიღწეულია მნიშვნელოვანი სამეურნეო-ეკონომიკური წარმატებები.

1987 წლის დამლევიდან კოლმეურნეობაში დაინერგა შიდასამეურნეო იჯარა. საწარმოო ბრიგადების, ფერმებისა და სხვა ქვეგანაყოფების ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებელი სამეურნეოანგარიშიანი საიჯარო ფორმირებები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ეწევიან მოიჯარეთა საბჭოსთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. მათ აქვთ საკუთარი საანგარიშსწორებო ანგარიშები, თვითონ განკარგავენ პროდუქციასა და სამეურნეოანგარიშიან შემოსავალს, განსაზღვრავენ შრომის ანაზღაურების ფორმებსა და ოდენობას. ჩვენ სწორ გზას ვადგავართ, და იგი მიგვიყვანს სასურსათო პროგრამის რეალიზაციამდე, თუ გადავჭრით იმ დაგროვილ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიან მეურნეობრიობის ახალ ფორმებს. ეს უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო შესასყიდი ფასების საკითხია, რაც აღინიშნა კიდეც ზოგიერთმა ორატორმა. მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების, აბრეშუმის პარკის, ხორცისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის მოქმედი შესასყიდი ფასები ვერ ფარავს მათი წარმოებისათვის საჭირო დანახარჯებს. ტექნიკური ყურძნის შესასყიდი ფასები მინიმალურ რენტაბელურობას იძლევა, რაც ამცირებს საიჯარო ფორმირებებით დაინტერესებას. მით უმეტეს ეხება ეს მოსახლეობას, რომელიც ამის გამო არ არის დაინტერესებული წარმოების ზრდით. სირთულეა ისიც, რომ ტექნიკური ყურძნის შესასყიდი ფასის რეგულირება უახლოესი მომავლისათვის არ არის გათვალისწინებული.

მეორე. მეურნეობრიობის ხელშემწყობი პირობების შექმნა წარმოუდგენელია, თუ არ გავაჯანსაღეთ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა. დღეისათვის გადაუხდელი თანხების რაოდენობა მილიარდ მანეთს აღემატება, მათ შორის სახელმწიფო ბანკის ვადაგასული სესხი 600 მილიონ მანეთზე მეტია. მაგრამ ჯერჯერობით დადებითად ვერ წყდება ამ სესხის ვადის გაგრძელების საკითხი.

1990 წლისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით ჩამოსაწერია იჯარაზე გადაყვანილი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი გადამუშავების მეურნეობებისა და საწარმოების წინათ ვადაგასული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები. მაგრამ პრაქტიკულად არ უმჯობესდება მათი ფინანსური მდგომარეობა, რადგან აღნიშნული სესხის დაბრუნება გათვალისწინებული იყო 1991 წლიდან დაწყებული 2000 წლამდე პერიოდში.

ფინანსურ მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ გადაწყვეტილი არ არის კომბინირებული საკვების და დიზელის სათბობის გაძვირების, ტვირთზიდვის ტარიფების მომატების, სოციალური დაზღვევის ანარიცხების ნორმებისა და შრომითი რესურსების საფასურის გაზრდის კომპენსაციის საკითხი. გარდა ამისა, მოიმატა სამშენებლო მასალებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფასებმა. სერიოზული ფინანსური სიძნელენი პრაქტიკულად აფერხებს საიჯარო ურთიერთობაზე გადასვლას, რადგან მოიჯარეებს არ სურთ და არ შეუძლიათ დაფარონ ბანკის სესხი, რომელიც წინათ აიღეს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა.

ვფიქრობ, რომ უნდა გამოვძებნოთ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების სახსრები. ისინი ძალზე მალე ანაზღაურდება პროდუქციის წარმოების ზრდით.

რაც შეეხება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სხვა ფორმირებების რეალური სამეურნეო დამოუკიდებლობის საკითხს გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ მდგომარეობა ძალზე ნელა უმჯობესდება. მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი არ თმობს თავის პოზიციებს. მეურნეობებს ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ უფლება განკარგონ თავიანთი პროდუქცია, თუნდაც სახელმწიფო შეკვეთის შესრულების შემდეგ, რომელსაც დღემდე აწესებენ იმათ დაუკითხავად, ვინც მას აწარმოებს. მოქმედებს საგეგმო, საფინანსო, სამართალდაცვითი, საბანკო და სხვა უწყებების სხვადასხვა ინსტრუქციები, რომლებიც, მეტი რომ არა ვთქვათ, ხელს უშლიან გონივრულად მუშაობას მიწაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა დავაჩქაროთ მიწისა და საკუთრების შესახებ კანონის მიღება, განვსაზღვროთ საბჭოთა, სამეურნეო, საკონტროლო და ხელისუფლების სხვა ორგანოების ფუნქციები და უფლებები, დავიცვათ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები და ორგანიზაციები უკანონო მითითებებისა და ჩარევისაგან.

დადგა დრო ნამდვილად მოვკიდოთ ხელი სოფლის სოციალურ განვითარებას. სოფლის მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის დონე 70 პროცენტს არ აღემატება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებით უზრუნველყოფისა — 76, კომუნალური მეურნეობის ობიექტებით, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებით და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით უზრუნველყოფისა — 30-45 პროცენტის ფარგლებშია, ადგილობრივი და შიდასამეურნეო მნიშვნელობის გზებით უზრუნველყოფა — 60 პროცენტია. საშუალო საკავშირო ნორმატივების დონეზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და სოფლის მშრომელთათვის ცხოვრებისა და შრომის ოპტიმალური პირობების შექმნისათვის უახლოეს ათწლეულში უნდა შესრულდეს სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოები სულ ცოტა 5 მილიარდი მანეთის ოდენობით. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა იოლი საქმე როდია, მით უმეტეს, რომ კაპიტალურ დაბანდებათა მკაცრი შეზღუდვა და ლიმიტი, რესპუბლიკის მთიან რეგიონებში უკანასკნელი წლების განმავლობაში გამუდმებული სტიქიური მოვლენები გვაიძულებენ მთელი რესურსები მოვახმაროთ უსახლკაროდ დარჩენილი ათი ათასობით ადამიანისათვის ახალი ბინებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას. ამასთან გაძნელებულია საშენი მასალებისა და სხვა საქონლის შემოტანა, რომლებსაც პირდაპირი ხელშეკრულებით გვაწვდიან იმის გამო, რომ პრაქტიკულად მოშლილია რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა.

და კიდევ ერთი რამ, მიხეილ სერგის ძევ, გთხოვთ საქართველოს დელეგაციის სახელით, თქვენი მოუცლელობის მიუხედავად, უწინარეს ყოვლისა ეწვიოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს და, კერძოდ, საქართველოს, რათა საფუძვლიანად გაეცნოთ ჩვენს პრობლემებს. **(ტაში).**

# ქმედითობა

## იმპორტულზე ხელს ითბობენ

„კომუნისტი“, 1989 წლის 27 ოქტომბერი

**გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას უპასუხებს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ჟუმბურიძე**

**სახალხო** კონტროლის კომიტეტმა რესპუბლიკის რამდენიმე სავაჭრო ორგანიზაციაში შეისწავლა და განიხილა იმპორტული წარმოების სასურსათო და არასასურსათო საქონლის რეალიზაციისა და შენახვის მდგომარეობა. შემოწმების მასალებში მოხსენებული იყო ცეკავშირის წნორის სავაჭრო ბაზის საქმიანობაც.

კერძოდ, ცეკავშირის წნორის სავაჭრო ბაზაში შემოწმების პროცესში, შენახვის წესის დარღვევით, საწყობში იატაკზე ეწყო რამდენიმე დასახელების საქონელი, ხოლო სასურსათო საქონლის საწყობში დაცული არ იყო ტემპერატურული რეჟიმი. ამასთან დადგინდა, რომ საწყობის გამგეებს გამოუვლინდათ 18 კილოგრამი არგენტინული თევზეულისა და ჩინური 48 ქილა ხორცის კონსერვის დანაკლისი.

ცეკავშირის გამგეობის დავალებით შემოწმებით გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე წნორის ბაზის დირექციამ იმსჯელა. საწყობის გამგეებს გ. კანდელაკიშვილს და გ. საფარაშვილს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური და მათ აანაზღაურებინეს გამოვლენილი დანაკლისი. საწყობები შეივსო სათანადო სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობით, მოწესრიგდა საქონლის დაწყობისა და მოვლა-პატრონობის მდგომარეობაც.

ცეკავშირის საკონტროლო და სავაჭრო სამსახურებს დაევალათ — სისტემატური კონტროლი გაუწიონ სავაჭრო ბაზებში და კოოპორგანიზაციებში იმპორტული და დიდი მოთხოვნის საქონლის გაცემისას საფონდო დისციპლინის დაცვისა და საქონლის მოვლა-პატრონობის მდგომარეობას, მკაცრად მოჰკითხონ გამოვლენილი დარღვევებისათვის.

## ნაბეღლავის სატკივარი

„კომუნისტი“, 1989 წლის 26 ნოემბერი

**„კომუნისტის“ რედაქციას უპასუხებენ სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის „საქკურორტმშენის“ მმართველი ო. ჟღენტი და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ი. დულაშვილი**

**ბებლარ ჩხაიძის** კრიტიკულ წერილში ლაპარაკია კურორტ ნაბეღლავის გაჭიანურებულ მშენებლობაზე. წერილის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მშენებლობა დაბალი ტემპით მიმდინარეობს. კურორტზე კაპიტალური მშენებლობა დავიწყეთ 1988 წელს. მაშინ გეგმით გათვალისწინებული იყო 200.000 მანეთის სამუშაოები, ფაქტობრივად შესრულდა 262 ათასი მანეთისა. შარშან კი, სამწუხაროდ, გეგმა ვერ შევასრულეთ. საერთოდ, 1989 წელს კურორტზე უნდა შესრულებულიყო 300 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები, დაიხარჯა 85 ათას მანეთზე ცოტა მეტი. შეუძლებელი გახდა გამოყოფილი თანხის ათვისება. ჩვენ ამით თავს სრულიადაც არ ვიმართლებთ, მაგრამ ამას აქვს მიზეზი:

კურორტი ნაბეღლავი 1989 წელს გასაშვებ ობიექტად არ ითვლებოდა. მთელი სამშენებლო მასალები გადასროლილი იყო გასაშვებ ობიექტებზე, მათ შორის გაუთვალისწინებელ ობიექტებზე (მხედველობაში გვაქვს სტიქიით დაზარალებული აჭარისა და სვანეთის მოსახლეობის დაბინავება). რაც შეეხება კაპიტალურ რემონტს, სამი წლის მანძილზე კურორტ ნაბეღლავს ამ მიზნით გამოეყო 480 ათასი მანეთი, დღეისათვის ათვისებულია 424 ათასი. კურორტის კაპიტალური რემონტი და რეკონსტრუქცია რომ დაჩქარდეს, არსებული სამშენებლო უბნის გარდა, ტრესტ „კურორტმშენში“ შემავალი სხვა სამშენებლო ორგანიზაციებიც უნდა ჩაებან ჩვენს სამუშაოებში.

## არაგვისპირელთა გასაჭირი

„კომუნისტი“, 1989 წლის 10 დეკემბერი

**„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს „საქაგრომშენის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. ჩიკვაიძე**

**გაზეთ** „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში სოფელ არაგვისპირის მცხოვრებნი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის გაჭიანურების გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 18 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად, სოფელ არაგვისპირში უნდა აშენდეს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის 34 სახლი. მათ შორის „საქაგრომშენის“ № 13 ტრესტის ძალებით — 7 სახლი, საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ძალებით — 8, ცეკავშირის ძალებით 3, ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის ძალებით 5, თბილისგვირაბმშენის სამმართველოს ძალებით — 10 და კავგვირაბმშენის სამმართველოს ძალებით 7 სახლი.

მშენებლობაში დაშვებული ჩამორჩენა ძირითადად დასახელებული ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობის შედეგია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცეკავშირის, რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და თბილისგვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივები, რომლებმაც დავალებული 15 საცხოვრებელი სახლიდან ვერც ერთი ვერ დაამთავრეს და პრაქტიკულად სამუშაოები შეჩერებულია.

ამის გამო საქაგრომშენმა გამოსცა სათანადო ბრძანება, რომლის მიხედვით სახლების მშენებლობა ოპერატიულად უნდა დამთავრდეს.

## ფრანგული დღიური

„კომუნისტი“, 1989 წლის 19 დეკემბერი

**„კომუნისტის“ გამოსვლას უპასუხებს პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ე. ბერიძე**

**გამოქვეყნებულ** წერილში წამოყენებული წინადადებანი ქ. ლანჩხუთში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას სახლისა და დედისა და უფროსი ვაჟიშვილის საფლავების აღდგენის თაობაზე, განხილულ იქნა საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პლენუმზე, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს აღნიშნული აზრი.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის 1990 წლის 3 იანვრის ერთობლივი დადგენილებით შეიქმნა კომისია რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით ქ. ლანჩხუთში ნოე ჟორდანიას სახლის ორიგინალთან მიახლოებულად აღდგენისა და მუზეუმის გახსნისათვის საჭირო ორგანიზაციულ-პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. ნ. ჟორდანიას დედისა და ვაჟიშვილის საფლავზე ამ დღეებში დაიდგმება მემორიალური დაფა, სახლ-მუზეუმის გახსნა კი გათვალისწინებულია 26 მაისისათვის.

# დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

**გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება**

**დეპუტატობის** კანდიდატებად დაასახელეს:

ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მმართველი **ლევან ივანეს ძე მეგრელიშვილი** — ტრესტის შრომითი კოლექტივისაგან.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ლაგოდეხის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **ჯუმბერ ბიკენტის ძე დარბაიძე** — ამ პროფკავშირის ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მარნეულის რაიონის ყულარის ცხენსაშენის დირექტორი **ვლადიმერ პანაფოვის ძე ფოტიადისი** — ცხენსაშენის შრომითი კოლექტივისაგან.

მარნეულის რაიონის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მელიორატორი **მირგუსეინ მირი ოღლი ასადოვი** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ტყიბულის საქალაქო გაზეთ „ტყიბულის“ რედაქტორის მოადგილე **ილია მინაგოს ძე ბარბაქაძე** — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის შრომითი კოლექტივისაგან.

ბოლნისის რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი **აპოლონ გაბრიელის ძე წულაია** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 42 ცენტრალური აფთიაქის გამგე **ავთანდილ აკაკის ძე მანჯავიძე** — ამ აფთიაქის შრომითი კოლექტივისაგან.

გორის რაიონის მეღვრეკისის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი **რუსუდან ივანეს ასული ნადირაძე** — სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის № 5 სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველი **უშანგი ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი** — ტრესტის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის მიწისქვეშა სპეცსამშენებლო-სამონტაჟო კომბინატის უფროსი **ნუგზარ მიხეილის ძე კეკენაძე** — კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის № 3 სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი **გურამ გელას ძე ბზვანელი** — სასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **პეტრე პეტრეს ძე ჩხეიძე** — მაიაკოვსკის რაიონის სოფლების პირველი ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის, მეორე ობჩის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის და არასრული საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივებისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის დოცენტი **გია დავითის ძე მეფარიშვილი** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანის“ დირექტორი **თენგიზ კონსტანტინეს ძე სტურუა** — ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ალექსანდრე სიმონის ძე საყვარელიძე** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის პირველი საფრენოსნო რაზმის მეთაური **ზურაბ შალვას ძე ჭანკოტაძე** — თბილისის ავიასაწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მეთაური საწარმოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან გრიგოლის ძე ლილუაშვილი** — ავიამუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

გაერთიანება „თბილისქალაქმშენის“ № 2 სახლსაშენებელი კომბინატის უფროსი **ნოდარ შალვას ძე ხარაბაძე** — კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან.

ტერიტორიული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტყემრეწვის“ თბილისის ავეჯის საწარმო[...] გაერთიანება „განთიადის“ მთავარი ინჟინერი **ლევან ამირანის ძე გულდედავა** — გაერთიანება „განთიადის“ შრომითი კოლექტივისაგან.

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ზურაბ მიხეილის ძე ანთაძე** — თბილისის 26-52 ავტოკოლონის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე **ოთარ კონსტანტინეს ძე გონაძე** — თერჯოლის რაიონის სოფელ თუზისა და საქართველოს იურისტთა კავშირის ამომრჩევლებისაგან.

ხაშურის რაიონის ქვიშხეთის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოოპერატივ „ქვიშხეთის“ გამგეობის თავმჯდომარე **ავთანდილ ანდროს ძე გოგოლაძე** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

თერჯოლის რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს უბნის პედიატრი **ლევან გუგუშას ძე კვატაია** — კომკავშირის თერჯოლის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის უფროსი მასწავლებელი **ელდარ ალიოშას ძე ახვლედიანი** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან. (საქინფორმი).

# ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

რეცენზია

**ბოლოს** და ბოლოს მოხდა ის, რაც უეჭველად უნდა მომხდარიყო. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარმა ბალეტმაისტერმა გიორგი ალექსიძემ, რომელმაც სულ ახლახან გაგვახარა ვ. ახიძის ბალეტის „ამორძალების" პრემიერით, არ დაახანა და ერთი თვის თავზე წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე ახალი ნაწარმოებით — ოთხი ერთმოქმედებიანი ბალეტით, რომელიც „ბალეტის საღამოს" სახელწოდებით გაერთიანდა.

რა თქმა უნდა, გ. ალექსიძის ადრინდელი ნამუშევრებიც აღბეჭდილი იყო ხელოვნის უდავო ნიჭიერებითა და უზადო გემოვნებით, მაგრამ მაინც, გულის სიღრმეში იბადებოდა უკმარისობის ბოლომდე გაუაზრებელი გრძნობა.

მის ახალ ნაწარმოებში კი ძალუმად რომ ჩანს ბალეტმაისტერის ხელწერაც და აზროვნების სტილიც, ბევრი რამ მოულოდნელია და სიხარულით უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ერთაქტიანი ბალეტები უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია მის მრავალ ადრეულ ნამუშევრებთან შედარებით.

ამიტომაც პრემიერამ არათუ მაყურებელთა ინტერესი გამოიწვია, არამედ უფრო მეტიც, — შეძრა მათი გული, რაც დღევანდელ პირქუშ და საოცარი მოვლენებით აღსავსე დროში ძნელად მისაღწევია. თითქოს ვის სცალია ახლა აუჩქარებლად განჭვრიტოს ხელოვნების ნაწარმოები! ეს გარემოება მით უფრო მნიშვნელოვანს ხდის საბალეტო სპექტაკლი- [illegible]

რაფიული ლექსიკა, საკუთარი ხელწერა. ეს ყველას როდი ძალუძს, ეს თამამი ადამიანის ხვედრია, ვინაიდან ის, ვინც დრომოჭმული ტრადიციის დაძლევას ცდილობს, დგას იმ საშიშროების წინაშე, რომელსაც მაყურებლის გულგრილობა ჰქვია. მან გაბედა, და რადგან ნიჭიც მოსდგამდა — გაიმარჯვა.

„ბალეტის საღამო" პირველად ამ ზაფხულს ფრანგმა მაყურებელმა იხილა. თბილისის ბალეტის გასტროლებს ფრანგულმა პრესამ ტრიუმფული უწოდა. ახლა, როცა ჩვენც ვიხილეთ სპექტაკლი სავსებით გასაგებია ეს შეფასება.

ერთაქტიანი ბალეტების შინაარსის, აზრის, ეპოქის, კომპოზიტორული სკოლის განსხვავების მიუხედავად სპექტაკლს საერთო, გამჭოლი ხაზი გასდევს. ეს არის ნათელი და ამავე დროს ნაღვლი-

## ნათელიც და ნაღვლიანიც

### ერთაქტიანი ბალეტების საღამო

ანი განწყობილება — ადამიანური სიმარტოვის თემა, თემა პიროვნული დრამისა.

მარტოსულია მშვენიერი გმირი ირმა ნიორაძისა ა. შნიტკეს „კონჩერტოში", მიუსაფარია თამაზ ვაშაკიძის ფიროსმანი ბალეტ- [illegible]

(გოგონა) ჩვენს თვალწინ ურთულეს ცხოვრებისეულ გზას გაივლის და სხივნათელი მზერით მოსული, ფინალში გაცრუებული იმედებით, ეულად დარჩება სცენაზე. პროგრამაში ლაკონურად აღნიშნულია სპექტაკლის ქვესათაური „ამბავი დამსხვრეული ჰარმონიისა" და ეს ოდნავ სენტიმენტალური განმარტება ზუსტად წარმოაჩენს ნაწარმოების დედაარსს, საინტერესოდ რომ არის ხორცშესხმული. ირმა ნიორაძის გმირი ორმაგ გრძნობას ბადებს — სიბრალულისაც და აღტაცებისაც. მეტად ნატიფი და მიამიტია გოგონა, ხოლო მის ირგვლივ სამყარო მრავალფეროვანი და ხანდახან დაუნდობელია. ბალერინა აქ ჰარმონიის სიმბოლოს წარმოადგენს. მისი ცეკვა ისეთ ილუზიას ბადებს, თითქოს ქორეოგრაფიული ნახაზი ტექნიკურ სირთულეს არ შეიცავდეს. ეს ასე როდია. მსახიობის პოტენცია აშკარაა. მონო-გმირის განსაცდელს მრავალი პერსონაჟი წარმართავს (მეფისტოფელი — ლ. ბახტაძე). ბალეტმაისტერი მას რთული ქორეოგრაფიული ლექსიკით ასაჩუქრებს, რომელშიც კლასიკური პა და აკრობატიკის ელემენტები, მის სხეულს საოცარ პლასტიკურ ნახაზებს უქმნის. მსუბუქად ტრიალებს ათასნაირ პირუეტში ბარმუნაკი — ი. სანაძე, რათა ბავშვობის უდარდელ დღეებს გვაზიაროს.

სცენაზე პირველი სიყვარულის ამბავიც გაიელვებს. მოვა გოგონას შესაფერი ლამაზი ბიჭი ვალერი მაზეპჩიკი (ადამი) და გათამაშდება ჰარმონიის წარმომჩენი ადაჟიო, რომლის თანხმიერება სულ მალე [illegible]

ლამაზ ლეგენდას (აკადემიური თეატრისათვის მეტად შეუფერებელ პროგრამაში ვერც ერთი ბალეტის ლიბრეტოს ვერ ნახავთ?!) ბევრი რამ შეუცნობელი დარჩება, მაგრამ პოეტური განწყობილებით აღსავსე ამ საცეკვაო სურათის სილამაზეს წუნს ვერ დასდებს, ისევე როგორც მის ბრწყინვალე ქორეოგრაფიას. ირმა ნიორაძე მისტიკური შავი გედის როლში სრულყოფილებას აღწევს. მისი მკვეთრი, წყვეტილი პლასტიკა, თითების ნებიერი მოძრაობა, თითქოს ნამის წვეთებს ეთხოვებაო, ლამაზი ნახტომი, არაბესკები, ყველაფერი ეს ერთად, ბადებს ლამაზი და უცნაური ქმნილების სახეს.

სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდებით სულხან ნასიძის მუსიკის პირველივე ტაქტიდან.

ფიროსმანი — ჩვენი მარადი ტკივილი და სიამაყე, ჩვენი თაყვანისცემა მისი ნიჭისადმი და ჩვენი სევდიანი სიყვარული.

ადამიანის პიროვნება ნაკრებია მისი ცხოვრებისეული ინტერესებისა და რარიგ რთულია წარმოსახო მხატვარი, რომელმაც ტილოზე მთელი სამყარო შექმნა. ფიროსმანს თამაზ ვაშაკიძე ცეკვავს, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა არა მარტო როგორც მოცეკვავე, არამედ როგორც სცენური გარდასახვის ოსტატი.

მისი ფიროსმანი ალალი და ოდნავ გაკვირვებული მზერით გვიცქერის, ხელს აწევს, თითქოს სურს თავის თვალსაწიერს დაგვაკავშიროს, იგი გაივლის სცენაზე, როგორც კაცი „ღამენათევი და ნამთვრალევი" და თავისი ცხოვრების ფურცლებს გადმოგვიშლით.

[illegible]

არ მიესადაგება ამ ჭეშმარიტად უზადო წარმოდგენას.

საბალეტო თეატრმა არაერთგზის მიმართა „დემონის" თემას. ამჯერად ახალი ინტერპრეტაციით ვიხილეთ ეს ნაწარმოები საკმაოდ ორიგინალური გადაწყვეტით. ეს გასაგებია, რადგან გია ყანჩელის მუსიკა არ შეიძლება ტრადიციულ განზომილებებში ჩაეტიოს. მ. ლერმონტოვის ცნობილი პოემიდან მხოლოდ ერთი ხაზია აღებული — დემონის სიყვარული თამარისადმი. აქ ისევ ირმა ნიორაძეს ვხვდებით, რომელიც გაგვახსენებს მის გოგონას „კონჩერტოდან". იქაც და აქაც უტურფესი ასული წარმოსდგება ჩვენს წინაშე იმ განსხვავებით, რომ თამარი ბოლომდე ინარჩუნებს სინატიფეს. ბალეტმაისტერი ისე ელოლიავება ახალგაზრდა მსახიობს, როგორც ოსტატი ძვირფას თვალს, ქმნის მრავალ კომბინაციას, რომელშიც სურს მთლიანად წარმოსახოს სილამაზე და მოცეკვავის ბუნებრივი დახვეწილობა. მთავარი გმირი კი მაინც დემონია (ვალერი მაზეპჩიკი), რომელიც მრავალსახეობით წარმოსდგება ჩვენს წინაშე — ხან როგორც ყარიბი, ხან როგორც მზეჭაბუკი, ბოლოს კი თვით დემონი, რომელმაც ირწმუნა თუ არა, ბედნიერებას ვეზიარეო, სწორედ იმ წამს ღვთის წყევლამ უწია. აქ კი მისი მეოთხე სახეცვლილება იწყება. ვ. მაზეპჩიკი, რომელიც განრიდებია ყოველგვარ სცენურ ატრიბუტებს ფანტასტიკურ ქმნილებად იქცევა, ხითრევს თავის დატანჯულ სხეულს, ფრთამოტეხილი ფრინველივით გაბობღდება სცენაზე და საერთო თანაგრძნობას გამოიწვევს. ეს როლი ახალგაზრდა მსახიობის ნამდვილი გამარჯვებაა, ისევე, როგორც მთელი დასის, შემოქმედებითი კოლექტივის გამარჯვებად უნდა ვაღიაროთ ეს ნამდვილი შთამბეჭდავი წარმოდგენა.

**ნელი შურღაია,**
ხელოვნებათმცოდნე.



## „დონ სეზარი" ბავშვთა თეატრში

**მეხუთე** წელია ამიერკავკასიის რკინიგზის კულტურის სახლთან არსებობს ბავშვთა და მოზარდთა თეატრი „ბერიკონი" (მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი — რამაზ გულუა). ამ ხნის მანძილზე მის სცენაზე წარმატებით დაიდგა კ. ტრავერსის „მერი პოპინსი", ს. მიხალკოვის „შინ დაბრუნება მინდას" მიხედვით შექმნილი „ბლუმენშტრასეს 27", შ. შამანაძის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში", რ. გულუას სცენარის მიხედვით შექმნილი „თბილისური სურათები" და სხვა. ჩვენი ბავშვების შემოქმედებას შარშან პოლონელი მაყურებელიც გაეცნო. თავიანთი ხელოვნება უჩვენეს მოსკოველებსაც.

ამ დღეებში „ბერიკონმა" ახალი სპექტაკლი წარმოადგინა — დ. დენერის „დონ სეზარ დე ბაზანი". ნორჩებმა საბავშვო თეატრისათვის უჩვეულო და რთული პიესა მშვენივრად დასძლიეს. განსაკუთრებით კარგი იყო მარიტანას როლში 61-ე სკოლის მეცხრეკლასელი ნათია ფარჯანაძე, მან მშვენივრად გადმოსცა ლაღი, თავისუფლებაზე უსაზღვროდ შეყვარებული, კეთილი, ერთგული ქალიშვილის შინაგანი ბუნება. ნათიას კარგად აუბეს მხარი ლაშა კოსტავამ (დონ სეზარი), ზურაბ ალავერდიშვილმა (დონ ხოზე) და სხვებმა.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ნორჩ მსახიობებს, რეჟისორ რამაზ გულუას და მხატვარ ვანო ასკურავას წარმატება მიულოცეს საქართველოს სახალხო არტისტებმა გურამ სალარაძემ და ჯემალ ღაღანიძემ.

მალე „ბერიკონი" იტალიაში გაემგზავრება.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ვეხმაურებით წერილს: „ეს გასათვალისწინებელია!"

## გზა ფართო ასპარეზისაკენ

**ნონა გაფრინდაშვილი,** რიგით მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ესაუბრა ჩვენს საჭადრაკო მიმომხილველს ბიბი გამრეკელს სხვადასხვა აქტუალური საჭადრაკო პრობლემის შესახებ.

**— როგორია თქვენი აზრი დები პოლგარების შესახებ?**

— მე მათ უშუალოდ დაფასთან რომელიმე ტურნირში არ შევხვედრივარ, მაგრამ ბევრი მათი პარტია მინახავს, რა თქმა უნდა, ბევრი აზრიც მომისმენია. 1987 წლის მიწურულს, როდესაც მე ბრიუსელში ვთამაშობდი საინტერესო ტურნირში „ქალები ვაჟების წინააღმდეგ" ჟუჟა პოლგარის მონაწილეობით, იქვე ვაჟთა საერთაშორისო ფესტივალში უმცროსი და, იუდით პოლგარიც გამოდიოდა და მაშინვე ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა.

რა შეიძლება ითქვას დებზე დღეისათვის? ჟუჟამ, ჭადრაკის ისტორიაში მესამემ, ვაჟთა დიდოსტატის წოდება მოიპოვა, რაც 20 წლის ქალიშვილისთვის დიდი მიღწევაა. იგი რაიმე განსაკუთრებული ნიჭით არ გამოირჩევა, მაგრამ არის კარგი პროფესიონალი, საჭადრაკო თეორიის ჩინებული მცოდნე. ამასთან ვაჟთა ტურნირებში გამუდმებულმა მონაწილეობამ და, რა თქმა უნდა, სათანადო ანალიტიკურმა მუშაობამ მისი ტექნიკა საკმაოდ დახვეწა. როგორც მოგეხსენებათ, იგი წარმატებით მონაწილეობს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში, ზოგჯერ საკმარისად ძლიერი შემადგენლობის ასპარეზობებში.

შუათანა დას, სოფიას, მე შედარებით ნაკლებად ვიცნობ. მიუხედავად მისი ერთი გასაოცარი წარმატებისა, როცა რომში ვაჟთა ძლიერ საერთაშორისო ტურნირში პირველ ადგილზე გამოვიდა, მე მაინც ჩემი აზრი გამომიმუშავდა; სოფიას დიდი საჭადრაკო შესაძლებლობები არ უნდა ჰქონდეს თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი შედეგი ვერსად გაიმეორა. ვნახოთ!

აი, უმცროსი და იუდითი კი დიდი ნიჭის მოჭადრაკეა. 1988-89 წლების მანძილზე მან გასაოცრებელ წარმატებებს მიაღწია, თუ რა თქმა უნდა, მის ასაკსაც გავითვალისწინებთ. გარდა ამ სპორტულ შედეგებისა, იუდითს დებისაგან განსხვავებით, მეტად ენერგიული, შემტევი სტილი აქვს. საყურადღებოა, რომ იგი კარგად თამაშობს თითქმის სრულიად მივიწყებულ რომანტიკულ მეფის გამბიტს. როგორ განვითარდება იუდით პოლგარის ტალანტი? აქ, ეტყობა, ცოტა უნდა მოვიცადოთ, ვნახოთ, როგორი შედეგები ექნება უახლოესი ორ-სამი წლის განმავლობაში. ასე რომ, ჯერჯერობით საბოლოო დასკვნებს ნუ გამოვიტანთ, უბრალოდ, თვალყური ვადევნოთ ნორჩი უნგრელის თამაშს.

**— თქვენ თითქმის მთელი 1989 წლის მანძილზე არსად გითამაშიათ...**

— რა გვეჭადრაკებოდა, ისეთი ამბები დაგვატყდა თავს. ვითამაშე მხოლოდ წლის დასაწყისში ჰავრის (საფრანგეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც პირველი-მეორე ადგილები გავიყავი ქეთევან არახამიასთან ერთად.

**— რის გაკეთებას აპირებთ როგორც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი?**

— ჩვენი მუშაობა მხოლოდ ახლახან დაიწყო. პრობლემა ბევრია, საჭიროა ქართველ სპორტსმენებს უფრო ფართოდ გავუხსნათ გზა საერთაშორისო ასპარეზზე.

**— რას იტყვით ქართველ მოჭადრაკე ქალთა ახალი თაობის შესახებ?**

— მე ახლა ბევრს ვმუშაობ თეა ლანჩავასთან, რომელიც ადრე ქუთაისში ცხოვრობდა. იგი უდავოდ ნიჭიერი მოჭადრაკეა და კარგი მომავალიც აქვს. ჯერ კიდევ შარშან, ჩვენი მუშაობის დაწყებამდე, თეა რუმინეთში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 14 წლამდე გოგონებს შორის. მე მასთან ერთად ვიყავი წელს პუერტო-რიკოში, სადაც ლანჩავა 16 წლამდე გოგონების მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალს დაეუფლა. ესეც რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა. ჩვენ ახალი შეჯიბრებებისათვის ვემზადებით, ერთ-ერთი მათგანი კი ისევ გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი იქნება. იქვე, პუერტო-რიკოში, როგორც მოგეხსენებათ, 12 წლამდე გოგონებს შორის ჩემპიონის წოდება ბათუმელმა დიანა დარჩიამ მოიპოვა, რომლის ცოცხალი და ენერგიული თამაში უდავოდ მოწონებას იმსახურებს. რა თქმა უნდა, როგორც ლანჩავამ, ისე დარჩიამ ბევრი უნდა იმუშაონ, სხვანაირად მათი ზრდა წარმოუდგენელია.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქეთინო კახიანი. იგი მეტად შეუპოვარია, მებრძოლი ხასიათისაა, შეუძლია ცალკეული მარცხის დაძლევა. ხომ ნახეთ, როგორ გამოასწორა მდგომარეობა საკავშირო ჩემპიონატში, სადაც დასაწყისში სამი თამაშიდან ნახევარი ქულა ჰქონდა, საბოლოოდ კი საპრიზო ადგილზე გამოვიდა. კახიანი წარმატებას აღწევს ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი გამოდის. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— ზოგი რამ თქვენი საჭადრაკო გეგმების შესახებ...**

— ორი საზონათშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს, რომელშიც მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩემთვის, ისე ნანა ალექსანდრიას, ქეთევან არახამიასა და ქეთევან კახიანისათვის. სამ-სამი გამარჯვებული თითოეული ამ საზონათშორისო ტურნირიდან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ორწლიან მატჩ-ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

**— როდის გაიმართება ეს შეჯიბრებები?**

— საზონათშორისო ტურნირები დაახლოებით ივნისისათვის უნდა ჩატარდეს, პრეტენდენტების ასპარეზობა კი (აქ მონაწილეობის პერსონალური უფლება ნანა იოსელიანსა და ელენე ახმილოვსკაიას აქვს) 1991 წლის დასაწყისში. ერთი სიტყვით, წინ დაძაბული სეზონი გველის.

**სახელოვან ქართველ დიდოსტატს წარმატებები ვუსურვოთ. მას ხომ 1990 წელს მრავალ „ფრონტზე" გამოსვლა ელის, როგორც პრაქტიკოს მოჭადრაკეს, მწვრთნელს, სპორტულ მოღვაწეს...**

## ადამიანის გადასარჩენად

**„კომუნისტის"** მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილები საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის მუშაობის თაობაზე, რომელმაც თავისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა შიდსის, ამ საშიში ინფექციური დაავადების წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება და მასში რესპუბლიკის ყველა მცხოვრების ჩაბმა. მით უმეტეს, რომ მსოფლიოს საინფორმაციო წყაროები ყოველდღიურად შემაშფოთებელ ცნობებს გადმოსცემენ შიდსის გავრცელების თაობაზე. ახლახანს „პრავიტელსტვენი ვესტნიკის" მე-20 ნომერში გამოქვეყნებული წერილით შევიტყვეთ, რომ საბჭოთა კავშირში შიდსით 744 ადამიანი ყოფილა დაავადებული, მათ შორის 412 უცხოელია. ამ ინფექციის მსხვერპლი გახდა 150-მდე ბავშვი, რომელთა უმრავლესობას ეს სენი სამკურნალო დაწესებულებაში შეჰყარეს არასტერილიზებული სამედიცინო ხელსაწყოების წყალობით.

დიახ, ელისტაში, ვოლგოგრადში, როსტოვში მომხდარმა ამ საშინელმა ფაქტმა მთელი ჩვენი ქვეყანა აღაშფოთა. ხოლო სოხუმში აღმოჩენილმა შემთხვევამ, სულით ხორცამდე შეგვძრა. საქართველოში შემოაღწია შიდსმა! ამან კიდევ უფრო აუცილებელი გახადა მოთხოვნა: ერთჯერადი შპრიცების, კათეტერების, სისხლის გადასხმის სისტემისა და სხვა სამედიცინო ხელსაწყოების გამომშვები ქარხნის აგება. მაგრამ ვინაიდან არ გაგვაჩნია სამამულო წარმოების ერთჯერადი სამედიცინო ხელსაწყოების დამამზადებელი სპეციალური ხაზი, გადაწყდა მისი შეძენა საზღვარგარეთ, რისთვისაც საჭირო ვალუტის შესაგროვებლად საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის მესვეურებმა თხოვნით მიმართეს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას — გაიღონ თუნდაც სულ მცირეოდენი რაოდენობის ოქრო, ძვირფასი თვლები ან ვერცხლი, რომ დაგროვდეს ქარხნის აგებისათვის საჭირო ვალუტა. ვიუწყებოდით საქართველოს სახელმწიფო ბანკში გახსნილი ამ სავალუტო ღირებულებისათვის სპეციალურ ანგარიშსაც — 70400001. პირველი შესაწირიც საქართველოს ფონდის თანამშრომლებმა და სხვა მოქალაქეებმა შეიტანეს. მაგრამ ჯერჯერობით შეწირული ძვირფასი ლითონის რაოდენობა ძალიან მცირეა იმ თანხასთან შედარებით, რომელიც ქარხნისთვის არის საჭირო.

„კომუნისტის" წერილებმა მკითხველთა ფართო დაინტერესება გამოიწვია. აი, რას გვწერს ერთ-ერთი ქარხნის მთავარი ინჟინერი ავთანდილ მჟავია: „შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი მოსახლეობის გადარჩენის აუცილებელი პირობაა, და თუ გავითვალისწინებთ დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის და დროის ფაქტორს, მიზანშეწონილად მიმაჩნია გაკეთდეს შემდეგი: უწინარეს ყოვლისა, განისაზღვროს ის აუცილებელი სამედიცინო ხელსაწყოების ერთჯერადი — ერთჯერადი ხმარების შპრიცები, კათეტერები, სისხლის გადასხმის სისტემა და ა. შ., რომელიც აუცილებელია რესპუბლიკაში 1995-2000 წლებისათვის, გავიანგარიშოთ რა რაოდენობით დაგვჭირდება მოსახლეობისათვის (ღმერთმა ნუ ქნას, დაგვჭირდეს), და რა დაჯდება როგორც ვალუტის, ისე საბჭოთა ფულის სახით. გადავიანგარიშოთ რესპუბლიკის მომუშავე მცხოვრებზე რა თანხა იქნება გადასახდელი. შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით, მოხდეს ხელფასების დაკავება და შეგროვებული თანხით ცენტრალიზებულად შევისყიდოთ რესპუბლიკის საიუველირო მაღაზიებში ოქრო-ვერცხლი. ასე და ამრიგად, საქმე ოპერატიულად გადაწყდება. ჩვენს მიერ შესყიდული უცხოური ქარხნის სიმძლავრეები რესპუბლიკის საკუთრება იქნება".

საინტერესო წინადადებებს გვთავაზობენ საქართველოს სტრუქტურული-გეოფიზიკური კანტორის უფროსი დ. დაუშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი გ. კაციტაძე, პროფკომიტეტის თავმჯდომარე ბ. მიქელაძე თავიანთ წერილში, რომელიც ამ დღეებში მივიღეთ, „ვალუტა ჩვენს ორგანიზაციას არ გააჩნია, — გვწერენ ისინი,— მაგრამ, თუ საბანკო გადარიცხვების დოგმების მსხვერპლს გავბედავთ (როდისღა უნდა გავბედოთ, თუ არა ასეთ საჭიროებასთან დაკავშირებით), დაგვრთონ ძვირფასი ლითონების ნაკეთობათა გადარიცხვის წესით შეძენისა და ბანკში შენაწირის სახით მისი ჩაბარების ნება.

მეორე მომენტი, რომელზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, შეეხება სამთო ქიმიის საწარმოო გაერთიანების მიერ ამერიკულ ფირმასთან დადებულ კონტრაქტს დარიშხანის მიწოდების თაობაზე, რომლის საფასურადაც 3,5 მილიონი დოლარის ორი ათასი უცხოური კომპიუტერის მიღების შესაძლებლობა გვეძლევა. იქნებ ღირდეს ხსენებულ ხელშეკრულებაში კორექტივის შეტანა (ასეთები, ალბათ, სხვა საწარმოებსაც აქვთ გაფორმებული) — კომპიუტერების ნაცვლად ერთჯერადი ხმარების სამედიცინო ხელსაწყოების გამომშვები ქარხნის მოთხოვნა"?

### შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა უპირველესი პრობლემაა

სარედაქციო ფოსტაში ისეთ წერილსაც ნახავთ, სადაც ექიმები გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათ არა აქვთ ინფექციით დაავადებული ავადმყოფის გასასინჯი ერთჯერადი ხმარების ხელთათმანები, ნიღბები თუ სხვა დამცავი საშუალებანი. შიდსისაგან თავდაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეზერვატივის ხმარებასაც, რომელიც აგრეთვე დეფიციტია ჩვენში.

ბევრი იმასაც გვისაყვედურებს, ამ უკანასკნელ ხანს მრავალი ორგანიზაცია შეიქმნა, რომელიც ხალხისგან ითხოვს შეწირულობებს, შემნახველ სალაროებში ასეთ ანგარიშებს ვერ აუდიანო. დიახ, მართალი ბრძანდებით, მრავალი უბედურება დაგვატყდა თავს — ზოგი სტიქიური მოვლენის გამო და ზოგიც მტერ-მოყვარის წამოწყებული, მაგრამ ხომ უნდა გავერკვეთ, რა არის უპირველესი მნიშვნელობისა. შიდსის ეპიდემიას რა უბედურება მოაქვს, დღეს ეს ხომ ყველასათვის ცხადზე უცხადესია. მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც არათუ ერთჯერადი ხმარების შპრიცები, კათეტერები, სისხლის გადასხმის სისტემა და სხვა სამედიცინო ხელსაწყოები არა აქვთ, რაცა აქვთ, იმასაც, ზოგიერთი გულცივი და უპასუხისმგებლო მედიცინის მუშაკის წყალობით, ხშირად რიგიან სტერილიზაციას არ უკეთებენ.

გვინდა აქვე გაცნობოთ იმ მოქალაქეთა სია, რომლებმაც ახლახან 70400001 ანგარიშზე შეიტანეს თავიანთი შეწირულობანი: ბინსოცბანკის საბურთალოს განყოფილებაში პატარა თეა გეგელიას სახელით მშობლებმა შეიტანეს მოოქროვილი სამარილე, მანანა თევდორაძემ — შვიდი ოქროს კბილის გვირგვინი, იზოლდა მემანიშვილმა — ოქროს ბეჭედი, დანიელ შანიძემ — ოქროს საათი და ვერცხლის მონეტა, ლეილა კალაძემ — ვერცხლის მონეტა, მადონა ცირეკიძემ — ოქროს ბეჭედი, არჩილ ბახტაძემ — ვერცხლის კოვზი...

ბინსოცბანკის ორჯონიკიძის განყოფილებაში თამარ სურგულაძემ — სამი ცალი ვერცხლის ბეჭედი, სამაჯური და ძეწკვი, ბინსოცბანკის ოპერაციულ სამმართველოში — გორელმა მარინე ჯავახიშვილმა — სამი ოქროს კბილის გვირგვინი და ვერცხლის მედალი, ციცო გუგავამ — ოქროს ძეწკვი, მანანა დანელიამ — ვერცხლის ჩაის კოვზი, ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, მარინე კაპანაძემ — ოქროს ძეწკვი და ვერცხლის მონეტა, ინგა შადურმა — ოქროს კულონი და ვერცხლის ძეწკვი, ორმა ორგანიზაციამ — „საქფოსტვშლმრეწვის" სპეცსარემონტოსამშენებლო სამმართველოს № 2 უბნის (მთავარი ინჟინერი — ი. ჩხენკელი) თანამშრომლებმა ფული შეაგროვეს ძვირფასი ოქროს საყურეები იყიდეს და ჩააბარეს ბანკს.

№ 3 სამშობიარო სახლის კოლექტივმა კალინინის ბინსოცბანკში ჩააბარეს პლატინა.

ასე რომ, მოწყალების ყულაბა თანდათანობით ივსება. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ჯერჯერობით რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან არავითარი ცნობები არა გვაქვს მიღებული შეწირულობათა თაობაზე.

**ლარისა ხუბულური.**

## დედების ღვაწლი და ამაგი

**ეს** ზეიმი განსაკუთრებით დაუვიწყარი იქნება მათთვის, ვინც მრავალშვილიან დედებთან იმ გულთბილი შეხვედრის მონაწილე იყო, რომელიც პარტიის ხაშურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის თაოსნობით მოეწყო. ბევრი წრფელი, ამაღელვებელი სიტყვა ითქვა შეხვედრაზე მოწვეული ქართველი დედების ღვაწლსა და ამაგზე, უსურვეს ჯანმრთელობა, ოჯახის ძლიერება და ბედნიერება.

ბოლოს 167 მანდილოსანს, რომელთაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი, გადაეცა ფულადი საჩუქარი, სულ 26 ათას 100 მანეთი, ისე რომ, თითო არასრულწლოვან ბავშვს 50 მანეთი ერგო.

რაიონის ხელმძღვანელებმა მოინახულეს სტიქიური მოვლენებისაგან დაზარალებული ოჯახები. მათაც გაუმართეს ხელი მატერიალურად, ოპერატიულად გადაწყვიტეს არაერთი მწვავე საკითხი, მიულოცეს ახალი წელი.

**დავით წიქარიშვილი.**

## საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს

**ვითარება** რესპუბლიკაში განვლილ დღე-ღამის განმავლობაში კვლავ ნორმალური იყო. რაიმე ექსცესი, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევები არ აღნიშნულა.

ქალაქ ცხინვალში და ახლომდებარე რაიონებში წესრიგსა და სიმშვიდეს იცავენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები. საერთოდ ნორმალურად საქმიანობს ყველა. საწარმო და დაწესებულება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის უპირველეს საარსებო მოთხოვნილებებს.

ქვემო ქართლში, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე რაიონებში კვლავ გაძლიერებით პატრულობენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმები. განვლილი დღე-ღამის განმავლობაში რაიმე არსებითი ცვლილება აქ არ მომხდარა.

თბილისში სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით რეგისტრირებულია 7 დანაშაული. 22 იანვარს შუაღამისას სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო კორპუსში გაჩნდა ხანძარი, რის შედეგადაც დაიწვა სახელმწიფო ქონება. მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებანი.

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

## სატურნირო ორბიტა

**ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კენჭისყრის შედეგებით უკმაყოფილონი დარჩნენ არა მარტო მწვრთნელები, არამედ... ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქებიც. მაგალითად, სარდინიის ხელისუფალნი შეფიქრიანებულნი არიან იმის გამო, რომ აქ გაიმართება ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების პირველი მატჩი. როგორც ცნობილია, ამ ქვეყნების ფეხბურთის გულშემატკივრები განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან. წინასწარი გამოანგარიშებით, სარდინიაში ჩამოვა დაახლოებით 9 ათასი ინგლისელი და 8 ათასი ჰოლანდიელი გულშემატკივარი, იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ინგლისელ სტუმართა დიდი ნაწილი თამამად შეიძლება ხულიგანთა რიცხვს მივაკუთვნოთ. კალიარში, სადაც მატჩების უმეტესობა გაიმართება, ცენტრალურ ქუჩებს კონტროლს გაუწევენ პოლიციის სპეცრაზმები, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან ჩამოსული გულშემატკივრები, წესრიგის დამრღვევთ კი სასწრაფოთ გაამგზავრებენ იტალიიდან.

**კალათბურთი.** უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი — კიევის „ბუდეველნიკი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა მოსკოვის „დინამოსთან" — 105:108 (56:54). ჩემპიონატს ლიდერობენ მოსკოველი არმიელები.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

## ტელევიზია—ოთხშაბათი, 24 იანვარი

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 12.30 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 13.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უბისი". 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — კინოჟურნალი „ვარსკვლავა". 17.20 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.50 — მოსწავლეთათვის. „წიგნი ჩემი მეგობარი". 18.35 — განცხადებები. 18.40 — „ოდეს კაცსა დაუჭირვოს" (გამეორება). 19.25 — თეატრალური აფიშა. 20.00 — მოამბე. 20.40 — ქართული ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 21.20 — საქართველოს კულტურის დღეები კვიპროსში. 21.35 — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. 22.00 — „ვრემია". 22.30 — „ფილმის შუქ-ჩრდილი". მხატვრული ფილმი „კონდორი".

**მეორე პროგრამა.** 15.05 — სატელევიზიო დადგმა „კოლა ბრუნიონი". 16.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „არჩევანი". 19.00 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 19.45 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „არლანი". 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ზაფხული ჟურავლინოში".

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.00 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმი. 9.40 — დოკუმენტური ფილმი „მარიამი". 10.20 — მხატვრული ტელეფილმი „წარსულის უფლება". I სერია. 11.30 — „ვლადიმერ ვისოცკი. მონოლოგი". 12.30 — „მსოფლიოს გარშემო". 13.30 — „ვრემია". 14.00 — „ცისარტყელა". 16.30 — ს. რახმანინოვი. № 2 კონცერტი. 17.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 17.35 — მულტფილმი. 17.55 — მოსკოვის ხალხურ საკრავთა ორკესტრების კონცერტი. 18.25 — ბავშვის საათი. 19.25 — რეკლამა, განცხადებანი, ინფორმაცია. 19.30 — „ვრემია". 20.00 — პროგრესი. ინფორმაცია. რეკლამა. 20.30 — მულტფილმი. 20.45 — მხატვრული ტელეფილმი „წარსულის უფლება". II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.30 — აქცია: ბინა — 2000. მე-3 გადაცემა. 22.40 — შეხვედრა ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში. 24.00 — ბახი. № 3 სიუიტა. 0.35 — მულტფილმი დიდებისათვის. 0.45 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 10.05 — გერმანული ენა. სწავლების პირველი წელი. 11.05 — გერმანული ენა. სწავლების მეორე წელი. 11.35 და 12.35 — ლიტერატურა. IX კლასი. 12.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.05 — ფილმ-კონცერტი „გიძღვნით სიმღერას". 13.35 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „პური არსებითი სახელია". II სერია. 18.00 — მულტფილმი. 18.30 — დოკუმენტური ფილმი. 18.40 — ჯაზური მუსიკის კონცერტი. ანსამბლი „ბუმერანგი". 19.30 — „ვრემია". 20.00 — უკრავენ ა. ფიოდოროვი (ბალალაიკა) და ვ. სიდელნიკოვი (გიტარა). 20.15 — ჰოკეი. მოსკოვის „დინამო" — ცსკა. შესვენებისას — 20.50 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.15 — უკრავს სასულე ორკესტრი. 22.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფონდებიდან. „ციური მერცხლები". II სერია. 23.35 — კალათბურთი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05817 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14